ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 393

28 დეკემბერი
"---" -------- 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.031.029) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარტოსთვის" (ს/ნ: 404558144) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.031.029) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „მარტოსთვის" (ს/კ 404558144) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №18.1010.1426 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.031.029) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარტოსთვის" (ს/ნ: 404558144) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2600 (ორი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**